





## შინაარსი

1.	ნორმატიული ბაზა	3
2.	ტერმინები, შემოკლებები, განმარტებები	4
3.	მაგისტრატურის სამსახური	10
4.	ჩასარიცხ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრა	11
5.	შიდა საუნივერსიტეტო საგამოცდო კომისიები	11
6.	სააპელაციო კომისია	12
7.	სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის შიდა საუნივერსიტეტო გამოცდის ჩატარების წესი	13
8.	სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა	16
9.	სამაგისტრო პროგრამის სტუდენტის სტატუსის შეჩერება, შეწყვეტა, აღდგენა	17
10.	სასწავლო პროცესი	19
11.	სწავლება-სწავლის არასრული დატვირთვის რეჟიმი	22
12.	სამაგისტრო ნაშრომის შესრულების სტანდარტი, სტრუქტურა და შეფასება	23
13.	სამაგისტრო ნაშრომის საჯარო დაცვა და შეფასება	25
14.	ნაშრომის დაცვის პროცედურა	26
15.	კვალიფიკაციის მინიჭება	33
15.	გავრცელების არე	33
16.	დანართი 1. შეფასების ინდივიდუალური უწყისის ფორმა	34
17.	დანართი 2. საგნობრივი კომისიის შეფასების ოქმის ფორმა	35
18.	დანართი 3. სამაგისტრო ნაშრომების დაცვის საფაკულტეტო კომისიის სხდომის ოქმის ფორმა	36
19.	დანართი 4. მაგისტრანტის შეფასების უწყისის ფორმა	37
20.	დანართი 5. სამაგისტრო ნაშრომის შეფასების ჯამური უწყისის ფორმა	38
21.	დანართ 6. მაგისტრანტების შეფასებათა შემაჯამებელი ოქმის ფორმა	39

ND 2-F05

სტატუსი: მოქმედი

რევიზია № 3

რევიზიის თარიღი 27.02.2018

მოქმედებაშია 17.08.2012

მოქმედად არ მათვალვება დოკუმენტის აჩვენები ნაბეჭდი ასლი თუ მას არ აქვს რევიზიის რეგისტრირებული კოდი. რევიზიის ასლზე დაატანება პროცესზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით, წინასწარ შეთანხმებული ასლი მათვალვება როგორც „არაკონტროლირებადი“ დოკუმენტი და მასზე ხარისხის სამსახური პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ხილი და კონტროლირებადი ასლი იხილოთ ვებგვერდზე [www.office.bsma.edu.ge](http://www.office.bsma.edu.ge)



## 1. ნორმატიული ბაზა

1. საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“ ND 1-01-01;
2. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 22 აპრილის №227 ბრძანება „სამაგისტრო გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის განაწილების წესის დამტკიცების შესახებ“;
3. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანება უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ ND 1-01-09;
4. საქართველოს მეცნიერებისა და განათლების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის №224/ნ ბრძანება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ ;
5. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 30 ივლისის № 152/ნ ბრძანება „სამაგისტრო გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის განაწილების წესის დამტკიცების შესახებ“
6. ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის წესდება ND 2-001;
7. ხარისხის სახელმძღვანელო ND 2-Q03;
8. დოკუმენტების კონტროლის მართვის პროცედურა ND 2-Q04-01;
9. ჩანაწერების კონტროლის მართვის პროცედურა ND 2-Q04-02;

ND 2-F05

სტატუსი: მოქმედი

რევიზია № 3

რევიზიის თარიღი 27.02.2018

მოქმედებაშია 17.08.2012

მოქმედად არ ჩაითვლება დოკუმენტის აჩვენები ნაბეჭდი ასლი თუ მას არ აქვს რევიზია „დროებითი ვერსიის“ რევიზია ასლზე დაატანეს პროცესზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით. წინააღმდეგ შემთხვევაში ასლი ჩაითვლება როგორც „არაკონტროლირებადი“ დოკუმენტი და მასზე ხარისხის სახელმძღვანელოსი არ იღებს. დოკუმენტის ხილი და კონტროლირებადი ასლი იხილოთ ვებგვერდზე [www.office.bsma.edu.ge](http://www.office.bsma.edu.ge)



## 2. ტერმინები, განმარტებები და შემოკლებები

- 2.1. **აკადემიური თავისუფლება** - აკადემიური პერსონალის, სამეცნიერო პერსონალისა და სტუდენტთა უფლება, დამოუკიდებლად განახორციელონ სწავლებ, სამეცნიერო კვლევა და სწავლა;
- 2.2. **გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამა** – საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც ხორციელდება საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასა და უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას შორის დადებული სტუდენტთა გაცვლის შესახებ ხელშეკრულების საფუძველზე და მიზნად ისახავს გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტის მიერ კრედიტების განსაზღვრული რაოდენობის დაგროვებას პარტნიორ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში;
- 2.3. **დამოუკიდებელი საათი** – საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელი პერსონალის ჩართულობის გარეშე სტუდენტის სასწავლო საქმიანობის დრო;
- 2.4. **დისტანციური გამოცდა** - გამონაკლისის წესით წესით მეზღვაურთათვის ცოდნის შეფასების დისტანციური მეთოდი, რომელიც ხორციელდება კომპიუტერული პირებით დაკომპლექტებული კომისიის მიერ საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და უტყუარობის უზრუნველყოფელი ინსტრუმენტების გამოყენებით;
- 2.5. **ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა-საგანმანათლებლო პროგრამა**, რომელიც ხორციელდება საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას/დაწესებულებებს ან /და უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას შორის. აგრეთვე საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასა და დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულს/საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან-უნივერსიტეტთან არსებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს-სამეცნიერო კვლევით საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – სამეცნიერო დაწესებულებას/საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებას შორის ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ შეთანხმების საფუძველზე და რომლის დასრულების შემდეგ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით დადგენილი წესით და ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების

ND 2-F05

სტატუსი: მოქმედი

რევიზია № 3

რევიზიის თარიღი 27.02.2018

მოქმედებაშია 17.08.2012

შეუქმადე არ ჩაითვლება დოკუმენტის ავტომატური ნაბეჭდი ასლი თუ მას არ აქვს რევიზია „დოკუმენტი ცვლადია“. რევიზია ასევე დაატანეს პროცესზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით. წინასწარ შეთანხმებული ასლი ჩაითვლება როგორც „არაავტორიზებული“ დოკუმენტი და მასზე ხარისხის საშუალო პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ხილი და კონტროლირებადი ასლი იხილოთ ვებგვერდზე [www.office.bsma.edu.ge](http://www.office.bsma.edu.ge)



- შესახებ შეთანხმების საფუძველზე გაიცემა უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი/ დოკუმენტები. **კრედიტი** – ერთეული, რომელიც გამოხატავს სტუდენტისათვის საჭირო სასწავლო დატვირთვას და რომლის მიღებაც შესაძლებელია სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ;
- 2.6. **ინდივიდუალური სასწავლო პროგრამა (გეგმა, გრაფიკი)** - დადასტურებული საპატიო მიზეზის საფუძველზე, დაშვებული ზღვრული რაოდენობის კრედიტებისა და საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების ფარგლებში, კონკრეტულ სტუდენტზე მორგებული დროში გაწერილი, წინაპირობის გათვალისწინებით ინდივიდუალური გრაფიკი;
- 2.7. **მაგისტრანტი** – სტუდენტი, რომელიც სწავლობს მაგისტრატურაში;
- 2.8. **მაგისტრანტობის კანდიდატი** – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ბაკალავრის, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის, მაგისტრის ან განათლების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონე ან მათთან გათანაბრებული პირი, რომელიც აპირებს სწავლის მაგისტრატურაში გაგრძელებას. რეგულირებადი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში სწავლის მაგისტრატურაში გასაგრძელებლად მაგისტრანტობის კანდიდატს უნდა ჰქონდეს შესაბამისი ბაკალავრის, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის ან მათთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;
- 2.9. **მაგისტრატურა** – აკადემიური უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც მოიცავს სამეცნიერო კვლევის ელემენტებს და მიზნად ისახავს ბაკალავრის შემდგომი დონის სპეციალისტის ან მკვლევრის მომზადებას, აგრეთვე პირს ამზადებს მიღებული კვალიფიკაციით მუშაობისათვის;
- 2.10. **მაგისტრატურის სამსახური** - დამხმარე სტრუქტურული ერთეული, რომელიც შესაბამისი დებულების საფუძველზე ჩართულია სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების, მონიტორინგის და განვითარების პროცესში;
- 2.11. **მაგისტრი** – მფლობელი იმ აკადემიური ხარისხისა, რომელიც პირს აკადემიური უმაღლესი განათლების მეორე საფეხურისათვის – მაგისტრატურისათვის დადგენილი კრედიტების რაოდენობის ათვისების შედეგად ენიჭება;
- 2.12. **მოზილობა** - სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის თავისუფალი გადაადგილება სწავლის, სწავლებისა და კვლევის პროცესებში მონაწილეობისათვის როგორც საქართველოში, ისე უცხოეთში, რასაც

ND 2-F05

სტატუსი: მოქმედი

რევიზია № 3

რევიზიის თარიღი 27.02.2018

მოქმედებაშია 17.08.2012

შეუქმედად არ ჩაითვლება დოკუმენტის აქტიურობის ნაკლები ასლი თუ მას არ აქვს რევიზიატი „დროებითი ვებ-პლაზა“. რევიზიატი ასლზე დაატანეს პროექტზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით. წინასწარ შეთანხმებული ასლი ჩაითვლება როგორც „არააქტიურობისად“ დოკუმენტი და მასზე ხარისხის სასწავლო პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ხელი და კონტროლირებადი ასლი იხილეთ ვებგვერდზე [www.office.bsmu.edu.ge](http://www.office.bsmu.edu.ge)





- თან სდევს სწავლის პერიოდში მიღებული განათლების, კრედიტების ან კვალიფიკაციის აღიარება;
- 2.13. **სააპელაციო კომისია** - საზღვაო აკადემიის რექტორის ბრძანებით შექმნილი მაგისტრანტობის კანდიდატის შეფასებასთან დაკავშირებული საპრეტენზიო/ სააპელაციო განაცხადის განმხილველი დროებითი ორგანო;
  - 2.14. **საგამოცდო კომისია** - საზღვაო აკადემიის რექტორის ბრძანებით შექმნილი საგამოცდო პროცესის ორგანიზებისა და ჩატარების დროებითი ორგანო;
  - 2.15. **საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტები** – საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტებია სასწავლო კომპონენტი და სამეცნიერო-კვლევითი/კვლევითი კომპონენტი;
  - 2.16. **საგნობრივი ქვეკომისია** - რექტორის ბრძანებით შექმნილი და მაგისტრატურის გამოცდაში მონაწილე კანდიდატის საგამოცდო შედეგების შემფასებელი კომისია.
  - 2.17. **საერთო სამაგისტრო გამოცდა** – საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, საგანმანათლებლო პროგრამული მიმართულების ან/და საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისად დადგენილი პროცედურა, რომელიც ადგენს პირის მზაობას მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის ასათვისებლად;
  - 2.18. **საერთო სამაგისტრო გამოცდის კოეფიციენტი** – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საერთო სამაგისტრო გამოცდის ტესტის ცალკეული ნაწილისთვის განსაზღვრული ერთეული;
  - 2.19. **საერთო სამაგისტრო გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი** – საერთო სამაგისტრო გამოცდის ტესტის ცალკეული ნაწილისთვის განსაზღვრულ ქულათა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მინიმალური ოდენობა, რომლის დაგროვება აუცილებელია მაგისტრანტობის კანდიდატისთვის ტესტირების წარმატებით დასაძლევად და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ჩასატარებელ გამოცდაში/გამოცდებში მონაწილეობის უფლების მოსაპოვებლად;
  - 2.20. **საერთო სამაგისტრო გამოცდის რანჟირება** აბსოლუტური ქულით/ქულებით თითოეული საგანმანათლებლო პროგრამული მიმართულების ან/და პრიორიტეტული საგანმანათლებლო პროგრამული მიმართულების მიხედვით – საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, სამაგისტრო გამოცდის დასრულების შემდეგ,

ND 2-F05

სტატუსი: მოქმედი

რევიზია № 3

რევიზიის თარიღი 27.02.2018

მოქმედებაშია 17.08.2012

შეუქმნა არ ჩაითვალოს დოკუმენტის ავტომატური განახლება ანუ ის არ აქვს რევიზია „დროებითი ვერსიის“ რევიზია ახლად დაატანეს პროცეს პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით, წინასწარ შეთანხმებული სახელითაა ჩაითვალოს როგორც „არაორბრუნებადი“ დოკუმენტი და მასზე ხარისხის საშუალო პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ხელი და კონტროლირებადი ახალი იხილო ვებგვერდზე [www.office.bsma.edu.ge](http://www.office.bsma.edu.ge)



შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ დამტკიცებული, მაგისტრანტობის კანდიდატის მიერ საერთო სამაგისტრო გამოცდის გავლის შედეგად მოპოვებული აბსოლუტური ქულის/ქულების მიხედვით დადგენილი ჩამონათვალი, რომლითაც ირკვევა, რომელმა მაგისტრანტობის კანდიდატმა მოიპოვა კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამული მიმართულების ან/და პრიორიტეტული საგანმანათლებლო პროგრამული მიმართულების მიხედვით სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტი აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამული მიმართულებებისთვის, მათ შორის, პრიორიტეტული საგანმანათლებლო პროგრამული მიმართულებებისთვის, გამოყოფილი სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის დაფინანსების წლიური მოცულობის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული პროცენტული მაჩვენებლის ფარგლებში;

- 2.21. **საზღვაო სფეროში უმაღლესი განათლება** - უმაღლესი განათლება, რომელიც უზრუნველყოფს საზღვაო ინჟინერია, საზღვაო ელექტროინჟინერია და საზღვაოსნო მეცნიერებებში სათანადო კომპეტენციის გამომუშავებას, რაც დასტურდება კვალიფიკაციის შესაბამისი დოკუმენტით;
- 2.22. **საკონტაქტო საათი** – საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელი პერსონალის ჩართულობით სტუდენტის სასწავლო საქმიანობისთვის განსაზღვრული დრო;
- 2.23. **სამაგისტრო გამოცდა** – სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის გაგრძელების უფლების მოპოვებისთვის განსაზღვრული პროცედურა, რომელიც მოიცავს შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ჩატარებულ საგანმანათლებლო პროგრამული მიმართულების შესაბამის საერთო სამაგისტრო გამოცდასა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ჩატარებულ გამოცდას/გამოცდებს;
- 2.24. **სამაგისტრო გამოცდების კოეფიციენტებით რანჟირება** – საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით, სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე, შესაბამისი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წინასწარ განსაზღვრული კოეფიციენტების მიხედვით რანჟირებული, ამ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ დამტკიცებული მაგისტრანტობის კანდიდატების ნუსხა, რომლებმაც მოიპოვეს უფლება, ჩაირიცხონ კონკრეტული

ND 2-F05  
სტატუსი: მოქმედი  
რევიზია № 3  
რევიზიის თარიღი 27.02.2018  
მოქმედებაშია 17.08.2012

შეუქმადე არ ჩაითვლება დოკუმენტის ავტომატური ნაბეჭდი ასლი თუ მას არ აქვს რევიზია „დროებითი ვერსიისთვის“. რევიზია ასევე დაატანეს პროცეს პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით. წინასწარ შეთანხმებული ასლი ჩაითვლება როგორც „არაოტორიზებული“ დოკუმენტი და მასზე ხარისხის საშუალო პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ხელი და კონტროლირებადი ასლი იხილეთ ვებგვერდზე [www.office.bsmu.edu.ge](http://www.office.bsmu.edu.ge)



- უმადლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მაგისტრატურის შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამულ მიმართულებაზე;
- 2.25. **სამაგისტრო გამოცდის კოეფიციენტების ჯამი** – საერთო სამაგისტრო გამოცდის ტესტის ან/და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრული გამოცდის/გამოცდების კოეფიციენტების ჯამი;
  - 2.26. **სასწავლო კომპონენტი** – საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელი ნაწილი, რომელიც წარმოდგენილია სასწავლო კურსის, მოდულის, პრაქტიკის, შემოქმედებითი/ პრაქტიკული სახის პროექტის, საბაკალავრო კვლევითი პროექტის/ნაშრომის ან სხვა კომპონენტის სახით;
  - 2.27. **სასწავლო კვირა** - არის დროის პერიოდი, რომელზეც ნაწილდება საშუალო აკადემიური მიღწევის მქონე სტუდენტის სასწავლო დატირთვა და მოიცავს , როგორც საკონტაქტო , ასევე დამოუკიდებელ დროში შესასრულებელი აქტივობების ერთობლიობას;
  - 2.28. **სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტი** – საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი საგანმანათლებლო პროგრამული მიმართულებების-თვის, მათ შორის, პრიორიტეტული საგანმანათლებლო პროგრამული მიმართულებებისთვის, სტუდენტისთვის გადაცემული თანხა, რომელიც განკუთვნილია მაგისტრატურის აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამის დასაფინანსებლად, გარდა სახელოვნებო-შემოქმედებითი, სასპორტო, საზღვაო, მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო ან სამხედრო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მაგისტრატურის აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამისა, თუ ამ პროგრამაზე მიღება არ ხდება საერთო სამაგისტრო გამოცდის მეშვეობით;
  - 2.29. **სემესტრი** - არის დროის პერიოდი, რომელიც მოიცავს სასწავლო კვირათა ერთობლიობას, დამატებითი გამოცდის/გამოცდების ჩატარებისა და დამატებით გამოცდაზე/გამოცდებზე სტუდენტის ცოდნის შეფასების პერიოდს;
  - 2.30. **სენატი** – ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო;
  - 2.31. **სილაბუსი** - სასწავლო კურსის პროგრამა (სილაბუსი) – დოკუმენტი, რომელიც იძლევა ინფორმაციას სასწავლო კურსის/მოდულის მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტების, შინაარსის, სწავლებისა და სწავლის მეთოდების, შეფასების კრიტერიუმების შესახებ;
  - 2.32. **სტუდენტი** (აკადემიის სტუდენტი) – პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობისა და ბათუმის საზღვაო აკადემიის წესდებით

ND 2-F05

სტატუსი: მოქმედი

რევიზია № 3

რევიზიის თარიღი 27.02.2018

მოქმედებაშია 17.08.2012

შეუქმადე არ ჩაითვლება დოკუმენტის ავტომატური განახლება ანუ ის არ აქვს რევიზია „დრეფტული ვერსიისა“. რევიზია ასევე დაატანეს პროცეს პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით, წინასწარ შეთანხმებული ანუ ჩაითვლება როგორც „არაკონტროლირებადი“ დოკუმენტი და მასზე ხარისხის სამართლებრივი პასუხისმგებლობა არ იდება. დოკუმენტის ხილი და კონტროლირებადი ანუ იხილო ვებგვერდი [www.office.bsma.edu.ge](http://www.office.bsma.edu.ge)





- განსაზღვრული წესით ჩაირიცხა და სწავლობს საზღვაო აკადემიაში ბაკალავრიატის, მაგისტრატურის ან დიპლომირებული სპეციალისტის, ასევე დოქტორანტურის პროგრამის გასავლელად;
- 2.33. **სტუდენტის სასწავლო დატვირთვა** – დრო, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მისაღწევად. სტუდენტის სასწავლო დატვირთვა უნდა ეფუძნებოდეს დამოუკიდებელ და საკონტაქტო საათებს;
- 2.34. **სწავლება-სწავლის არასრული დატვირთვის რეჟიმი** - ნიშნავს სტუდენტის სასწავლო დატვირთვას კვირაში დამოუკიდებელი და საკონტაქტო საათების ჯამური მოცულობით არაუმეტეს 25 საათისა.
- 2.35. **სწავლება-სწავლის მეთოდი** – საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელი პირის მიერ სტუდენტისთვის, ცოდნის გადაცემის საშუალება, როგორცაა: ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული მუშაობა, სემინარი, ელექტრონული რესურსით სწავლება, ელექტრონული სწავლება და სხვ., წავლება-სწავლის მეთოდი შეიძლება მოიცავდეს შესაბამის აქტივობებს (დისკუსია, დებატები, დემონსტრირება, პრეზენტაცია, სემინარი და სხვ.);
- 2.36. **ფაკულტეტი** – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ძირითადი სასწავლო-სამეცნიერო და ადმინისტრაციული ერთეული, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტთა მომზადებას ერთ ან რამდენიმე სპეციალობაში და მათთვის შესაბამისი აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭებას;
- 2.37. **შეფასების კომპონენტები** – შეფასების ფორმების ნაწილი, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნის ან/და უნარის ან/და კომპეტენციების შეფასების ხერხს/ხერხებს, რომელიც შეიძლება აერთიანებდეს შეფასების ერთგვაროვან მეთოდებს (ზეპირი/წერიტი გამოცდა, ზეპირი/წერიტი გამოკითხვა, აუდიოვიზუალური ნაწარმოების შექმნა, სპექტაკლი, პრაქტიკული/თეორიული სამუშაო და სხვ.);
- 2.38. **შეფასების კრიტერიუმი** – შეფასების მეთოდის საზომი ერთეული, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე;
- 2.39. **შეფასების მეთოდი** – საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შესაფასებლად გამოსაყენებელი საშუალება/საშუალებები (ტესტი, ესე/ესეი, დემონსტრირება, პრეზენტაცია, დისკუსია, აუდიოვიზუალური ნაწარმოების წარმოდგენა, სპექტაკლში მონაწილეობა/დადგმა, საკონცერტო შესრულება, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დისკუსიაში

ND 2-F05

სტატუსი: მოქმედი

რევიზია № 3

რევიზიის თარიღი 27.02.2018

მოქმედებაშია 17.08.2012

შეუქმადე არ ჩაითვლება დოკუმენტის აჩვენის ნაბეჭდი ასლი თუ მას არ აქვს რევიზია „დროებითი ვერსიის“ რევიზია ასლზე დაატანეს პროცესზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით. წინასწარ შეზღუდვაში ასლი ჩაითვლება როგორც „არაოტორიზებული“ დოკუმენტი და მასზე ხარისხის სასაბურთო პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ხელი და კონტროლირებადი ასლი იხილოთ ვებგვერდზე [www.office.bmsu.edu.ge](http://www.office.bmsu.edu.ge)



მონაწილეობა, კაზუსის ამოხსნა, იმიტირებულ პროცესში მონაწილეობა, ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა და სხვ);

- 2.40. შეფასების ფორმები – შეფასების ფორმებია შუალედური შეფასება (ერთჯერადი ან მრავალჯერადი) და დასკვნითი შეფასება, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას;
- 2.41. ხარისხის უზრუნველყოფა – შიდა და გარე შეფასების პროცედურები, რომელთა განხორციელება ხელს უწყობს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას.

## 2.2. შემოკლებები.

- 1. ND – ნორმატიული დოკუმენტი;
- 2. აკადემია – ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია;
- 3. სსიპ - საჯარო სამართლის იურიდიული პირი;
- 4. ECTS - ევროპული კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების სისტემა სტუდენტზე ორიენტირებული სისტემაა, რომელიც ეფუძნება სწავლის შედეგებისა და სასწავლო პროცესის გამჭვირვალობას.

## 3. მაგისტრატურის სამსახური

- 3.2. სამსახური ზედამხედველობას უწევს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებას და სასწავლო პროცესს;
- 3.3. უზრუნველყოფს სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის განაწილების წესის შესახებ - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 22 აპრილის №227 ბრძანებით გათვალისწინებული შიდა საუნივერსიტეტო გამოცდების ჩატარების ვადების განსაზღვრის თაობაზე რექტორის ბრძანების პროექტის მომზადებას;
- 3.4. ფაკულტეტები უზრუნველყოფენ სამაგისტრო სამსახურის გონივრულ ვადებში ინფორმირებას ცალკეულ სამაგისტრო პროგრამებთან დაკავშირებით მიღებულ დამატებითი მოთხოვნების შესახებ;

ND 2-F05

სტატუსი: მოქმედი

რევიზია № 3

რევიზიის თარიღი 27.02.2018

მოქმედებაშია 17.08.2012

შეუქმად არ მათვლება დოკუმენტის არეორი ნაბედი ალი თუ მს არ აქვს რევიზია „ღირებულო ეგ ზემოლარი“. რევიზია ალიზე დაატანება პროცესზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით. წინააღმდეგ შემთხვევაში ალი მათვლება როგორც „არაკონტროლირებადი“ დოკუმენტი და მასზე ხარისხის სამსახური პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ხილი და კონტროლირებადი ალი იხილო ვებგვერდზე [www.office.bsma.edu.ge](http://www.office.bsma.edu.ge)



#### 4. ჩასარიცხ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრა

- 4.1. ფაკულტეტის საბჭო კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადებში, სტუდენტთა ვაკანტური რაოდენობის ფარგლებში, მოქმედი მეთოდოლოგიის გათვალისწინებით განსაზღვრავს თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩასარიცხ სტუდენტთა ოდენობას;
- 4.2. ფაკულტეტის საბჭოს მიერ 4.1. პუნქტის შესაბამისად მიღებული გადაწყვეტილებას, არაუგვიანეს 5 სამუშაო დღის ვადაში, ეცნობება სამაგისტრო სამსახურს.

#### 5. შიდა საუნივერსიტეტო საგამოცდო კომისიები

- 5.1. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვისთვის საზღვაო აკადემიის მიერ განსაზღვრული შიდა გამოცდის/გამოცდების ორგანიზებულად ჩატარების მიზნით, ფაკულტეტისა დეკანისა და მაგისტრატურის სამსახურის ერთობლივი წარდგინებით, რექტორის ბრძანებით იქმნება:
  - ა) საგამოცდო კომისია - უზრუნველყოფს მაგისტრანტის შიდა საუნივერსიტეტო გამოცდებზე გამოვლენილი ცოდნის შეფასებას;
  - ბ) სააპელაციო კომისია - განიხილავს შიდა საუნივერსიტეტო გამოცდებზე მიღებულ შეფასებასთან დაკავშირებით მაგისტრანტობის კანდიდატთა საპრეტენზიო განცხადებებს;
- 5.2. სააპელაციო კომისიის წევრები არ შეიძლება იყვნენ საგამოცდო კომისიის შემადგენლობაში მყოფი პირები, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს მაგისტრანტობის კანდიდატის შეფასებაში;
- 5.3. საგამოცდო კომისიების მუშაობას კოორდინაციას უწევს მაგისტრატურის სამსახური.

ND 2-F05

სტატუსი: მოქმედი

რევიზია № 3

რევიზიის თარიღი 27.02.2018

მოქმედებაშია 17.08.2012

მოქმედად არ ჩაითვლება დოკუმენტის არეალიზაცია ნაბეჭდი ასლი თუ მას არ აქვს რევიზია „ღირებულად ვე წეზღვართ“. რევიზია ასლზე დაატანება პროცესზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით. წინასწარ შეთანხმება ასლი ჩაითვლება როგორც „არაკონტროლირებადი“ დოკუმენტი და მასზე ბარისხის სწავლური პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ხილი და კონტროლირებადი ასლი იხილეთ ვებგვერდზე [www.office.bsma.edu.ge](http://www.office.bsma.edu.ge)



## 6. სააპელაციო კომისია

- 6.1. სააპელაციო კომისია გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან 3 დღის ვადაში იღებს და განიხილავს მაგისტრანტობის კანდიდატთა საპრეტენზიო განცხადებებს:
  - ა) საგამოცდო პროცედურის დარღვევის ფაქტის შესახებ;
  - ბ) ტესტირების პროცედურის დარღვევის ფაქტის შესახებ;
  - გ) ტესტის შეფასების შესახებ.
- 6.2. პირველ პუნქტში მითითებული ვადის გასვლის შემდგომ სააპელაციო კომისიაში განცხადება წარმოებაში არ მიიღება;
- 6.3. განცხადებაში მითითებული უნდა იყოს: განმცხადებელი პირის ვინაობა, დარღვეული პროცედურის აღწერა და განცხადების შეტანის თარიღი;
- 6.4. საბჭო განიხილავს შემოსულ განცხადებებს 3 დღის განმავლობაში და იღებს შემდეგი სახის გადაწყვეტილებებს:
  - განცხადების დაკმაყოფილების შესახებ;
  - განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ;
- 6.5. რექტორის ბრძანების საფუძველზე, განცხადებების სიმრავლის შემთხვევაში განხილვის ვადა დასაშვებია გახანგრძლივდეს;
- 6.6. საგამოცდო პროცედურის ან ტესტირების პროცედურის დარღვევის ფაქტის თაობაზე განცხადების დაკმაყოფილების შემთხვევაში, წინამდებარე პროცედურით დადგენილი წესის შესაბამისად დასაშვებია დაინიშნოს ახალი გამოცდა;
- 6.7. სააპელაციო კომისიის სხდომას ხელმძღვანელობს კომისიის თავმჯდომარე, ან მისი დავალებით კომისიის სხვა წევრი;
- 6.8. სააპელაციო კომისია გადაწყვეტილებას იღებს კომისიის წევრთა უმრავლესობით, ხმათა თანაბრად გაყოფის შემთხვევაში კი გადაწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა;

ND 2-F05

სტატუსი: მოქმედი

რევიზია № 3

რევიზიის თარიღი 27.02.2018

მოქმედებაშია 17.08.2012

მოქმედად არ ჩაითვლება დოკუმენტის ავტომატური ნაბეჭდი ასლი თუ მას არ აქვს რევიზია „დრეზული ცვ შემსწავლარი“. რევიზია ასევე დაატანეს პროცესზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით. წინასწარვე შემთხვევაში ასლი ჩაითვლება როგორც „არაკონტროლირებადი“ დოკუმენტი და მასზე ხარისხის სანაზღაურო პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ხილი და კონტროლირებადი ასლი იხილოთ ვებგვერდზე [www.office.bsma.edu.ge](http://www.office.bsma.edu.ge)



6.9. სააკველიციო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები ფორმდება კომისიის სხდომის ოქმების სახით, კომისიის შემადგენლობიდან დანიშნული მდივნის მიერ. ოქმს ხელს აწერს სხდომაზე დამსწრე ყველა წევრი.

## 7. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის შიდა საუნივერსიტეტო გამოცდის ჩატარების წესი

- 7.1. მაგისტრატურაში მისაღები გამოცდების ჩატარების ფორმის, თითოეული საგამოცდო საგნის პრიორიტეტის, მისი კოეფიციენტის შესახებ გადაწყვეტილებას ღებულობს ფაკულტეტის საბჭო, პროგრამის ხელმძღვანელებთან შეთანხმებით მაგისტრატურის სამსახურის წარდგენით;
- 7.2. საგამოცდო საკითხების ბაზას ადგენს სასწავლო აკადემიური დეპარტამენტი;
- 7.3. გამოცდის ორგანიზებაზე, ჩატარებაზე, ბილეთების/ტესტების შედგენაზე, იდენტიფიკაციის პროცესის ორგანიზებასა და კონფედენციალურობის დაცვაზე პასუხისმგებელია მაგისტრატურის სამსახური;
- 7.4. მაგისტრანტობის კანდიდატთა შეფასება ხდება რექტორის ბრძანებით შექმნილი საგამოცდო კომისიის მიერ, თითოეული შემფასებელი წევრის მიერ ინდივიდუალურად და დამოუკიდებლად. საბოლოო შეფასების ფორმირება ხდება საშუალო არითმეტიკული წესით;
- 7.5. სტუდენტის შეფასების წერიტი გამოცდის შემთვევაში ნაშრომების შეფასება უნდა მოხდეს კომისიურად, გამოცდის ჩატარების შემდეგ, არაუგვიანეს ორი სამუშაო დღისა. ხოლო ტესტური გამოცდის შემთხვევაში ნაშრომი ფასდება იმავე დღესვე სწორი პასუხების შეჯამებით;
- 7.6. კონკურსანტის საგამოცდო ნამუშევარი ფასდება 100 ქულიანი სისტემით. დადებით შეფასებად ითვლება 51 ქულა და მეტი;
- 7.7. სტუდენტს უფლება აქვს შიდა გამოცდებში მიღებული შეფასება სააკველიციო კომისიაში, შედეგის გაცნობიდან 2 დღის ვადაში;
- 7.8. გამოცდა ჩაბარებულად ითვლება 10.14 მუხლით გათვალისწინებული შედეგის დადგომის შემთხვევაში;
- 7.9. სამაგისტრო გამოცდების კოეფიციენტებით რანჟირება და მაგისტრანტობის კანდიდატთა საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის პროცესი

ND 2-F05

სტატუსი: მოქმედი

რევიზია № 3

რევიზიის თარიღი 27.02.2018

მოქმედებაშია 17.08.2012

შეუქმედად არ ჩაითვლება დოკუმენტის არერთი ნაბეჭდი ასლი თუ მას არ აქვს რევიზია "დროებითი ვერსიის" რევიზია ასლზე დაატანეს პროცესზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით. წინასწარ შეთანხმება ასლი ჩაითვლება როგორც "არაკონტროლირებადი" დოკუმენტი და მასზე ბარიბის სანაშარი პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ხილი და კონტროლირებადი ასლი იხილოთ ვებგვერდზე [www.office.bsma.edu.ge](http://www.office.bsma.edu.ge)





- ხორციელდება სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის განაწილების წესის შესახებ - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 22 აპრილის №227 ბრძანებისა და წინამდებარე დებულების შესაბამისად;
- 7.10. საგამოცდო კომისია ვალდებულია აწარმოოს შესაბამისი შემაჯამებელი ოქმი, სადაც დაფიქსირდება ყველა გამოსაცდელი პირის ვინაობა, შეფასება, გამოცდის მსვლელობის ძირითადი ფაქტები და გადაწყვეტილება. ოქმის საფუძველზე კომისია ვალდებულია შეფასებები შეიტანოს საგამოცდო უწყისში. შედეგები უნდა გასაჯაროვდეს ოქმზე საგამოცდო კომისიის თავმჯდომარისა და მდივნის ხელის მოწერიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) დღის ვადაში;
- 7.11. მაგისტრანტობის კანდიდატის ინდივიდუალური შეფასება ფიქსირდება შესაბამისი უწყისის ფორმით (დანართი 1);
- 7.12. მაგისტრანტობის კანდიდატთა შიდა საუნივერსიტეტო გამოცდის საგნობრივი კომისიის მუშაობის შედეგები ფიქსირდება შეფასების ოქმის სახით (დანართი 2);
- 7.13. ამ მუხლის 7.6. პუნქტით გათვალისწინებული მინიმალური ზღვარის გადალახვის შემთხვევაში, საგამოცდო უწყისების, შემაჯამებელი ოქმებისა და მაგისტრატურის სამსახურის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, რექტორის ბრძანებით ხდება მაგისტრანტობის კანდიდატთა ჩარიცხვა სტუდენტებად;
- 7.14. დისტანციური გამოცდა ტარდება სტუდენტის დასაბუთებული განცხადებისა და ფაკულტეტის საბჭოს დასაბუთებული გადაწყვეტილებით, რექტორის ბრძანებით და ითვალისწინებს ცალკეულ შემთხვევებში შორეულ ნაოსნობაში მყოფი საზღვაო საინჟინრო ფაკულტეტის სტუდენტთათვის გამოცდის ონლაინ რეჟიმში (პირდაპირი ეთერი) ჩატარებას;
- 7.15. დისტანციური გამოცდა ტარდება სპეციალური ტექნიკური საშუალებებით (კომპიუტერი, ვებკამერა, ყურსასმენი და მიკროფონი, პრინტერი) აღჭურვილ ოთახში და გამოსაცდელი პირის თანხმობით (თანხმობის გარეშე გამოცდის ჩატარება დაუშვებელია და პირი კარგავს გამოცდის დისტანციურად ჩაბარების უფლებას). გამოცდის მსვლელობას საგამოცდო კომისიის გარდა ესწრება აკადემიის ტექნიკური პერსონალი, რომელიც პასუხისმგებელია გამოცდის მსვლელობის უწყვეტ რეჟიმში დაფიქსირების მიზნით ტექნიკური აპარატურის გამართულად მუშაობაზე. დისტანციური გამოცდის მონაწილეები არიან:

ND 2-F05

სტატუსი: მოქმედი

რევიზია № 3

რევიზიის თარიღი 27.02.2018

მოქმედებაშია 17.08.2012

მოქმედად არ ჩაითვლება დოკუმენტის ანტიკოპირირება ანტიკოპირირების მიზნით. თუ მას არ აქვს რევიზია „დისტანციური გამოცდის უწყისების შესახებ“ რევიზია ასევე დაატანეს პროექტზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით. წინამდებარე დებულებაში ასევე ჩაითვლება როგორც „არაკორექტობისად“ დოკუმენტის და მასზე ბარიერის სწავლობის პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ხელი და კონტროლირებადი ასევე იხილეთ ვებგვერდზე [www.office.bsmu.edu.ge](http://www.office.bsmu.edu.ge)



- საგამოცდო კომისია და აკადემიის ტექნიკური პერსონალი, ხოლო ონლაინ რეჟიმში მონაწილე პირები არიან მაგისტრანტობის კანდიდატი და გემის კაპიტანი/უფლებამოსილებით აღჭურვილი პირი, რომელიც ადასტურებს სტუდენტის შორეულ ნაოსნობაში ყოფნის ფაქტს. პროცესს აკვირდება საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორი, რომელიც გამოცდების დასრულების შემდეგ ადგენს ანგარიშს და წარუდგენს მას რექტორს;
- 7.16. დისტანციური წესით ტექნიკური აღჭურვილობით ჩატარებული გამოცდა ექვემდებარება დაოქმებასა და უწყვეტ ვიდეო-აუდიო დაფიქსირებას, რიტაც უზრუნველყოფილია შეფასების უტყუარობა. იმ შემთხვევაში, თუ ჩაწერა ვერ ხორციელდება, გამოცდა უნდა შეწყდეს და განახლდეს გაუმართაობის აღმოფხვრისთანავე. აუდიო-ვიდეო მატარებელი (CD, DVD დისკები) ექვემდებარება ჩარიცხული სტუდენტის პირად საქმეში შენახვას;
- 7.17. დისტანციური გამოცდები ტარდება ზეპირი ფორმით, დადგენილი წესით შედგენილი ბილეთების საშუალებებით. მაგისტრანტობის კანდიდატთა მიერ ბილეთების შერჩევა ხდება, ზედამხედველი პასუხიმგებელი პირის თანდასწრებით პირდაპირ ეთერში წინასწარ მომზადებული ჩაბრუნებული ნომრებისგან ერთ-ერთის არჩევით. არჩეული ბილეთის საკითხები ეცნობება მაგისტრანტობის კანდიდატს საგამოცდო კომისიის მდივნის ან თავმჯდომარის მიერ. მაგისტრანტობის კანდიდატთა შეფასება ხდება კომისიის მიერ, რის შესახებაც ინფორმაცია სტუდენტს ეცნობება დაუყოვნებლივ. შედეგები შესაძლებელია გასაჩივრდეს სააპელაციო კომისიაში, რომელიც განაცხადს განიხილავს მაგისტრანტობის კანდიდატის დაუსწრებლად, ვიდეო-აუდიო ჩანაწერის საფუძველზე შედეგების გაცნობიდან არა უგვიანეს 2 სამუშაო დღისა, ელექტრონული ფოსტის მეშვეობით წარმოდგენული დასაბუთებული განაცხადით;
- 7.18. აპელაციის მოთხოვნის შემთხვევაში გამოცდის მასალებს სააპელაციო კომისიას გადასცემს საგამოცდო კომისიის მდივანი, ზეპირი მოსმენის გარეშე (დისკზე). აპელაციის შედეგები და მიღებული გადაწყვეტილება ეცნობება მაგისტრანტობის კანდიდატს არაუგვიანეს 2 დღის ვადაში.
- 7.19. დისტანციურ გამოცდებზე ვრცელდება ამ მუხლის 7.10 მუხლით დადგენილი ოქმის წარმოების წესი. ოქმში შეიტანება დეტალური ინფორმაცია გამოცდის ჩატარების ადგილის, დროის, მონაწილეების და გამოცდის მსვლელობის

ND 2-F05

სტატუსი: მოქმედი

რევიზია № 3

რევიზიის თარიღი 27.02.2018

მოქმედებაშია 17.08.2012

შეუქმადე არ ჩაითვლება დოკუმენტის ავტომატური ნაბეჭდი ასლი თუ მას არ აქვს რევიზიის "დროებითი ვებ-მკალი". რევიზიის ასლზე დატანება პროცესზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით, წინასწარ შეთანხმებული ასლი ჩაითვლება როგორც "არაკონტროლირებადი" დოკუმენტი და მასზე ხარისხის საშუალო პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ხილი და კონტროლირებადი ასლი იხილოთ ვებგვერდზე [www.office.bma.edu.ge](http://www.office.bma.edu.ge)



შესახებ, აგრეთვე დისკის მონაცემები, სადაც დაფიქსირდა ვიდეოჩანაწერი. ვიდეოჩანაწერი თითოეულ მაგისტრანტობის კანდიდატზე დგება პერსონალურ დისკზე. დისკი უნდა იყოს იდენტიფიცირებული (სახელი, გვარი, მაგისტრანტობის კანდიდატის განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, თარიღი), რის შესახებ მონაცემები შეტანილი უნდა იქნას სააპელაციო კომისიის სხდომის ოქმში ( დანართი 1,2 ). ხოლო შეფასების შეცვლის შემთხვევაში ახალი მონაცემები ფიქსირდება უწყისში.

## 8. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა

- 8.1. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს ბაკალავრს ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც აკმაყოფილებს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ წინაპირობებს;
- 8.2. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა ხდება წინამდებარე წესის საფუძველზე, თანახმად საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №227 (2009. 22.04)” სამაგისტრო გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის განაწილების წესის დამტკიცების შესახებ“;
- 8.3. ჩარიცხვა ხორციელდება სამაგისტრო გამოცდების კოეფიციენტებით და მას ექვემდებარებიან კონკურსანტები, რომელთა რიგითი ნომრები კონკურსანტთა რანჟირებულ სიებში არ აღემატება შესაბამისი სპეციალობისათვის საკონკურსო ადგილების რაოდენობას (თუ რომელიმე უფლებამოსილი კონკურსანტი უარს განაცხადებს ჩარიცხვაზე, მაშინ ხელშეკრულების გაფორმების უფლება ეძლევა რანჟირებული სიით განსაზღვრულ შემდეგ კონკურსანტს, ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- 8.4. მაგისტრანტობის კანდიდატის ჩარიცხვა ფორმდება საზღვაო აკადემიასა და მაგისტრანტობის კანდიდატს შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე;
- 8.5. იმ პირების თაობაზე, რომლებთანაც გაფორმდა ხელშეკრულებები, დგება რექტორის ერთიანი აქტი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადებში იგზავნება გამოცდების ეროვნულ ცენტრში და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში. რექტორის ერთიანი აქტში მითითებულია მაგისტრანტის სახელი, გვარი, პირადი ნომერი, საერთო სამაგისტრო გამოცდის საიდენტიფიკაციო კოდი, საგანმანათლებლო პროგრამა, რომელზეც მაგისტრანტმა მოიპოვა სწავლის გაგრძელების უფლება;

ND 2-F05

სტატუსი: მოქმედი

რევიზია № 3

რევიზიის თარიღი 27.02.2018

მოქმედებაშია 17.08.2012

მოქმედად არ ჩაითვლება დოკუმენტის აჩვენაობის ნაკლები ასლი თუ მას არ აქვს რევიზია „დროებითი ვებ-პორტალი“. რევიზია ასევე დაატანეს პროექტზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით. წინასწარ შეთანხმებული ასლი ჩაითვლება როგორც „არაკონტროლირებადი“ დოკუმენტი და მასზე ხარისხის სასწავლო პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ხილი და კონტროლირებადი ასლი იხილოთ ვებგვერდზე [www.office.bsma.edu.ge](http://www.office.bsma.edu.ge)



- 8.6. ინფორმაცია ჩარიცხული პირების შესახებ ელექტრონული ფორმით ეგზავნება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადებში;
- 8.7. ამ მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტებით გათვალისწინებული ერთიანი აქტის გამოცემის შემდეგ პირი ხდება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტი - მაგისტრანტი.

## 9. სამაგისტრო პროგრამის სტუდენტის სტატუსის შეჩერება, შეწყვეტა, აღდგენა

### 9.1. სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველია:

- 1. სტუდენტის მიერ ადმინისტრაციული რეგისტრაციის არ გავლა;
- 2. ფინანსური დავალიანება;
- 3. პირადი განხადება;
- 4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ ნაოსნობაში ყოფნა;
- 5. სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში მიცემა ნაკლებად მძიმე, მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე;
- 6. ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების მიზეზით, სათანადო დასკვნის წარმოდგენის საფუძველზე;
- 7. სხვა რაიმე მიზეზით, რომელიც წინააღმდეგობაშია საქართველოს კანონთან „უმაღლესი განათლების შესახებ“ და საზღვაო აკადემიის შინაგანაწესის მოთხოვნებთან;

9.2. სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ გამოიცემა რექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი და მონაცემები შეტანილი იქნება სტუდენტთა რეესტრში;

9.3. აკადემიური შვებულება (აკადემიურ შვებულებაში მყოფი სტუდენტი სწავლას აგრძელებს იმ სემესტრიდან, საიდანაც შეუჩერდა სტუდენტის სტატუსი);

9.4. სტუდენტის სტატუსის შეჩერების მაქსიმალური ვადაა 5 წელი, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა, რომლის შემდეგ იწყება სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ წარმოება;

9.5. პირი, რომელსაც შეჩერებული აქვს სტუდენტის სტატუსი, არ განიხილება სტუდენტების საერთო რაოდენობის ფარგლებში. სტუდენტთა რაოდენობის აღრიცხვის მიზნით აუცილებელია საზღვაო აკადემიის სტუდენტთა რეესტრში სტუდენტის სტატუსის შეჩერების რეგისტრაცია.

ND 2-F05

სტატუსი: მოქმედი

რევიზია № 3

რევიზიის თარიღი 27.02.2018

მოქმედებაშია 17.08.2012

მოქმედებს არააქტიური დოკუმენტის ანგარიშის ნაბიჯი ანუ ის არ აქვს რევიზია „დროებითი გეგმვლი“. რევიზია ასევე დაატანეს პროცეს პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით, წინააღმდეგ შემთხვევაში ახალი მათვე რევიზია „არაკორექტირებადი“ დოკუმენტი და მასზე ხარისხის სამართლებრივი პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ხილი და კონტროლირებადი ახალი იხილი ვებგვერდზე [www.office.bsma.edu.ge](http://www.office.bsma.edu.ge)



## 9.2. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია:

1. პირადი განცხადება;
2. საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნების შეუსრულებლობა აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად დადგენილ ვადების გათვალისწინებით;
3. ერთი და იგივე სავალდებულო სასწავლო კურსის კრედიტების ორჯერ აუთვისებლობა;
4. კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენით სასჯელის აღსრულებაში ყოფნა;
5. ეთიკის კოდექსის დარღვევა (სტუდენტისათვის შეუფერებელი და არაეთიკური ქცევა);
6. აღდგენილი სტუდენტისათვის სტატუსის შეჩერების გარემოებების ხელშეწყობა დადგომა;
7. სტუდენტის სტატუსის შეჩერება 5 წელზე მეტი ხნის განმავლობაში;
8. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა;
9. ოპტიმალური ვადის გასვლა, გარდა იმ შემთხვევისა, თუ სტუდენტი დასაბუთებული მოთხოვნით მიმართავს დაწესებულებას სწავლის გაგრძელების შესახებ.
10. მაგისტრანტის სტატუსის შეწყვეტის/შეჩერების შესახებ ფაკულტეტის მაგისტრატურის სამსახურის წარდგინებით რექტორი გამოსცემს ინდივიდუალურ-სამართლებრივ აქტს;
11. სტუდენტს, რომელსაც პირველი ხუთკვირეული პერიოდის გასვლამდე შეუჩერდება/შეუწყდება სტატუსი უბრუნდება სწავლის გადახდილი საფასური სტატუსის შეჩერებიდან/შეწყვეტიდან არაუგვიანეს სამი კვირის ვადაში. პირველი ხუთკვირეული ვადის გასვლის შემდეგ გადახდილი თანხა დაბრუნებას არ ექვემდებარება;
12. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ სამართლებრივი აქტით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგები დგება ბრძანების გამოცემიდან 12 თვის შემდეგ. დროის ამ მონაკვეთში სტუდენტის სტატუსი ითვლება შეჩერებულად და სტუდენტი უფლებამოსილია ისარგებლოს მობილობის უფლებით და გადავიდეს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში;
13. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში, მისი ხელახლა მოპოვება დასაშვებია კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ND 2-F05

სტატუსი: მოქმედი

რევიზია № 3

რევიზიის თარიღი 27.02.2018

მოქმედებაშია 17.08.2012

შეუქმად არ ჩაითვლება დოკუმენტის აქტიური ნაბეჭდი ასლი თუ მას არ აქვს რევიზია „დრეზული ცენტრის“ რევიზია ასლზე დაატანეს პროექტზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით, წინააღმდეგ შემთხვევაში ასლი ჩაითვლება როგორც „არაკონტროლირებადი“ დოკუმენტი და მასზე ხარისხის სამსახური პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ხილი და კონტროლირებადი ასლი იხილოთ ვებგვერდზე [www.office.bsma.edu.ge](http://www.office.bsma.edu.ge)





## 9.2. სტუდენტის სტატუსის აღდგენა

1. სტუდენტს აქვს უფლება აღიდგინოს სტატუსი იმავე აკადემიურ პროგრამაზე საკვალიფიკაციო ჩარჩოს შესაბამისად, კანონმდებლობით დადგენილი წესის ფარგლებში;
2. სტუდენტის სტატუსის აღდგენის მოთხოვნით სტუდენტი განცხადებით მიმართავს რექტორს. განცხადებაში უნდა მიეთითოს სტუდენტის სტატუსის შეჩერების გარემოებათა დასრულების შესახებ და თან დაერთოს შესაბამისი მტკიცებულებითი დოკუმენტაცია;
3. სტუდენტის სტატუსის აღდგენის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მაგისტრატურის სამსახურის უფროსი, რომელიც წარდგინებითაც გამოიცემა რექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი და სტუდენტის მონაცემები დადგენილი წესით შეიტანება სტუდენტთა რეესტრში;
4. სტუდენტის სტატუსის აღდგენა შესაძლებელია, როგორც იმავე აკადემიური პროგრამის ფარგლებში, კანონმდებლობით დადგენილი წესით, ასევე სტუდენტის მოთხოვნის საფუძველზე სხვა აკადემიური პროგრამის ფარგლებში;
5. სტუდენტის სტატუსის აღდგენის შემთხვევაში სტუდენტს ჩაეთვლება სტატუსის შეჩერებამდე ათვისებული კრედიტები და სწავლის გადახდილი საფასური;
6. სტატუსის აღდგენის შემთხვევაში სწავლების შემდეგი ეტაპის საფასური განისაზღვრება აღდგენის მომენტისათვის არსებული ტარიფებით, რაც შესაბამისად აისახება სტუდენტის ხელშეკრულებაში.

## 10. სასწავლო პროცესი

- 10.1. მაგისტრატურაში სწავლების ენაა ქართული. უცხო ენაზე სწავლება ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმებით;
- 10.2. სამაგისტრო პროგრამის მოთხოვნების შესრულების მიზნით მაგისტრანტი ვალდებულია სასწავლო წლის დაწყებამდე გაიაროს ფინანსური და აკადემიური რეგისტრაცია;
- 10.3. აკადემიური რეგისტრაციის დროს მაგისტრანტს უფლება აქვს თითოეული სემესტრისთვის დაარეგისტრიროს კანონმდებლობით დადგენილი კრედიტების მოცულობის სასწავლო კურსები/მოდულები;

ND 2-F05

სტატუსი: მოქმედი

რევიზია № 3

რევიზიის თარიღი 27.02.2018

მოქმედებაშია 17.08.2012

შექმადი არ ჩაითვლება დოკუმენტის ადგილი ნაბეჭდი ასლი თუ მას არ აქვს რევიზია „დროებითი ვერსიის“ რევიზია ასევე დაატანეს პროცესზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით, წინასწარვე შემთხვევაში ასლი ჩაითვლება როგორც „არაკონტროლირებადი“ დოკუმენტი და მასზე ხარისხის სამსახური პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ხილი და კონტროლირებადი ასლი იხილოთ ვებგვერდზე [www.office.bsmu.edu.ge](http://www.office.bsmu.edu.ge)



- 10.4. თუ მაგისტრანტს სწავლების მეორე წლის დასაწყისისათვის განმეორებით აქვს შესასწავლი სწავლების წინა წლის სასწავლო კურსები/მოდულები, მას უფლება ეძლევა დაარეგისტრიროს ის სასწავლო კურსები/მოდულები, რომლის განხორციელების შესაძლებლობა აქვს ფაკულტეტს სწავლების მოცემულ ეტაპზე;
- 10.5. თუ მაგისტრანტი ოპტიმალურ ვადაში ვერ შეასრულებს საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნებს, მას ეძლევა უფლება დაასრულოს პროგრამა მე-9 მუხლის 9.2 პუნქტის მე-9 ქვეპუნქტით განსაზღვრული წესით/ისარგებლოს მობილობით/გააგრძელოს სწავლა სხვა საგანმანათლებლო პროგრამაზე. სწავლის საფასურის ოდენობა განისაზღვრება საგანმანათლებლო პროგრამის იმ დროისათვის არსებული ტარიფით;
- 10.6. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ოპტიმალური ვადა შეადგენს 2 აკადემიურ წელს (4 სემესტრი). იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი ოპტიმალურ ვადაში ვერ ახერხებს პროგრამის სრულყოფილად ათვისებას, ის დასაბუთებული განცხადებით მიმართავს შესაბამისი დეკანს სწავლის გაგრძელების თაობაზე. საბოლოო გადაწყვეტილებას დებულობს რექტორი;
- 10.7. სტუდენტს უფლება აქვს ისარგებლოს შიდა ან გარე მობილობით იმ შემთხვევაში თუ:
1. ოპტიმალურ ვადაში ვერ აითვისა საგანმანათლებლო პროგრამა;
  2. გასულია პროგრამის აკრედიტაციის/ავტორიზაციის ვადა;
  3. პროგრამაზე შეწყვეტილია სტუდენტების მიღება/საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება მიღევად რეჟიმშია;
